ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის №03-759 ბრძანებით დამტკიცებულ აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული “არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის №03-759 ბრძანებით დამტკიცებულ “აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესის” მეათე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სტუდენტის განცხადება აკადემიური შვებულების შესახებ განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების შესწავლის შედეგად თუ განცხადებაში მითითებული საფუძვლები ამ წესის მესამე მუხლითაა განსაზღვრული, სამი დღის ვადაში ფაკულტეტი უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ (სტუდენტის ჩარიცხვის, სწავლების წელი, დაბადების თარიღი, პირადობის მოწმობის პირადი ნომერი, აკადემიური პროგრამის დასახელება, დამატებითი საჭირო ინფორმაცია) და მოსაზრებას სტუდენტის აკადემიურ შვებულებაში გაშვების საკითხის გადასაწყვეტად. ხოლო თუ სტუდენტის მიერ განცხადებაში მითითებული საფუძველი სცილდება ამ წესის მესამე მუხლით განსაზღვრულ საფუძვლებს, ფაკულტეტი ხუთი დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს დასაბუთებულ უარს ან თანხმობას სტუდენტის მიერ აკადემიური შვებულების სარგებლობის შესახებ“.

2. შევიდეს ცვლილება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2010 წლის 30 სექტემბრის №03-759 ბრძანებით დამტკიცებულ აკადემიური შვებულებით სარგებლობის წესის მეთორმეტე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. აკადემიური შვებულების შეწყვეტის შესახებ სტუდენტი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც სამი დღის ვადაში უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს მონაცემებს სტუდენტის შესახებ, შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით“.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს ყველა ფაკულტეტს, საფინანსო სამსახურის აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოს, ფინანსურ სამმართველოს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

რექტორი **გიგი თევზაძე**